# თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

**№1**

ქ. ქუთაისი 6 თებერვალი 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი –ქ. ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე.

ზურაბ გაბიძაშვილი –ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მალხაზ ბასილაძე – ქ. ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

კახაბერ დალაქიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

ანდრო მარჯანიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის ქალაქდაგეგმარებისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

ირაკლი გიორგაძე – ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში რუსთაველის ხიდზე ტროტუარის, ტროტუარისა და გზის სავალი ნაწილის გამყოფი ბორდიურის და აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ხიდზე მოაჯირის, ტროტუარის, ტროტუარისა და გზის სავალი ნაწილის გამყოფი ბორდიურის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი) შედგენის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა მალხაზ ბასილაძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის - ქალაქ ქუთაისში რუსთაველის ხიდზე ტროტუარის, ტროტუარისა და გზის სავალი ნაწილის გამყოფი ბორდიურის და აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ხიდზე მოაჯირის, ტროტუარის, ტროტუარისა და გზის სავალი ნაწილის გამყოფი ბორდიურის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი) შედგენის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: ზურაბ გაბიძაშვილმა.
კომისიის წევრმა: ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისში რუსთაველის ხიდზე ტროტუარის, ტროტუარისა და გზის სავალი ნაწილის გამყოფი ბორდიურის და აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ხიდზე მოაჯირის, ტროტუარის, ტროტუარისა და გზის სავალი ნაწილის გამყოფი ბორდიურის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია.

2. კონკურსი ჩატარდეს 2014 წლის 13 თებერვალს 12:00 საათზე.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2014 წლის 13 თებერვლის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალური ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ.№3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ გაბიძაშვილი

კომისიის წევრები:

მალხაზ ბასილაძე

კახაბერ დალაქიშვილი

ანდრო მარჯანიშვილი

ირაკლი გიორგაძე